

ახალი

ქანიადი

„მედნიერია ის, ვისაჲ
სამშობლოსათვის უძგერს გული.“



14 - 27 სექტემბერი

2013 წელი

№17

№ 8051

ელფოსტა:

AxaliGantiadi@gmail.com.

ოფისიური პროცესი

832.



ქანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის
შემსრულებელი გორა გორიჭაშვილი
გამგებობის თანამშრომლებს ქანის
მუნიციპალიტეტის მეთორმეტარეა დაუფაგა
დავით ონოფრიშვილმა ნარუდგინა 832.

ქანის
მუნიციპალი-
ტეტის
საკრებულოს
თანამშრომარის
მოადგილედ
ხათუნა
თათანაშვილი
აირჩიეს 832.



შეხვედრის ცერემონიული
ორგანიზაციის წინამძებულოებთან გვ3

გიწვევთ სოფლის მხარდაჭარის
პროგრამის ფარგლებში
თანამშრომლობისათვის 833.

თვი წლის წინ



ეროვნული გზარდობის ყანის
ზანჯლოიონის გაცელოებს ათხზეოში
1993 წელი, 18 მარტი გვ7.

მამულთ, სიცატსლოდ!
834-5

სოხუმის
რაცეების
ქრონიკა 832



იგონებენ
ვეტერანები 836.





ქასპის მუნიციპალიტეტის მერიის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი მარგველაშვილი

გორა გორიტაშვილი დაიბადა 1963 წლის 18 აპრილს ქასპის რაიონის სოფელ გარეყულაზე. 1980 წელს დაამთავრა ახალქალაქის საშუალო სკოლა და მუშაობდა დაიწყო ახალქალაქის სატყეო მეურნეობაში ტყის კულტურების მუშად. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ გორა გორიტაშვილი სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (სპეციალობა სამართალმცოდნეობა).

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გორა გორიტაშვილი განაწილებით მუშაობდა პროკურატურის სისტემაში. იყო თბილისის ლენინის რაიონის, თეთრიწყაროს და ქასპის რაიონების პროკურატურების გამომძიებელი, პროკურორის თანაშემწე.

1991 წელს გორა გორიტაშვილი დაინიშნა ქასპის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. 1998 წელს წარმატებით ჩააბარა მოსამართლეთა პირველი საკვალიფიკაციო გამოცდები და დაინიშნა გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე, სადაც იმუშავა 2006 წლის მარტამდე, იგი პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

2006 წლიდან ქასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა გორა გორიტაშვილი იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი და აწარმოებდა საადვოკატო საქმიანობას. ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი.

ქასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია ხათუნა თათანაშვილი

4 სექტემბერს ქასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა. დღის წესრიგში იყო ოთხი საკითხი: "ქასპის მუნიციპალიტეტის 2013 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 3 სექტემბრის №65 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე; ქასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ქასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ; ქასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს "სოფლის მეურნეობის და ბუნებრივი რესურსების კომისიის" თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

ქასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია ხათუნა თათანაშვილი.



წინასაარჩევნო შეხვედრები

გიორგი მარგველაშვილი - პრეზიდენტობის კანდიდატი



წინასაარჩევნო პროგრამის ფარგლებში 7 სექტემბერს გიორგი მარგველაშვილი ქასპს ეწვია. შეხვედრა გიორგი სააკაძის მოედანზე გაიმართა. პრეზიდენტობის კანდიდატის გამოსვლის შემდეგ ხალხს სიტყვით მიმართეს ქასპის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით ონოფრიშვილმა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ.



გონიერებითა და სიდიდხით განთქმული ქართველები, ვიცი, ღირსეულ არჩევანს გააკეთებენ, - განაცხადა სიტყვით გამოსვლისას ქასპელთა საამაყო პიროვნებამ, ქართული საოპერო ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელმა თენგიზ ზალიშვილმა, - დარწმუნებული ვარ 27 ოქტომბერი "ქართული ოცნების" მორიგი გამარჯვებით დამთავრდება ქასპში.

შეხვედრის დასასრულს გიორგი მარგველაშვილი შეკრებილ ხალხთან მივიდა, გაესაუბრა მათ, მოუსმინა ახალგაზრდებს და მათ შეკითხვებსაც უპასუხა.

20 წლის წინ ...

სოხუმის რაიონის ქრონიკა

1993 წლის 16 სექტემბერს აფხაზთა შორიკაბაზაზე პირადად დაარსდა რუსეთის შეიარაღებული ძალების 27 ივლისის სოჭის შეთანხმება. გადაკვეთა სოხუმი - ოჩამჩირის დაბალიკაბაზაში ავტომატობრივი მძინარე კოლონა და სოხუმის ბაზაზონაში სივლიანოვანოვან და მძინარე გუმიანი შეიარაღებული ძალების დახმარებით. ქალაქის ქუჩაში მიმდინარე ბრძოლის შესახებ მთელი ინფორმაცია თავს იხრის მე-2 საარტილერიო ბრიგადის მეთაურის შტაბის მეთაურის შტაბში. იმ დროსში გაქრული ასეველი მეთაურის ლიხინაძე მარაბ დუნდასა და იმავი ბატალიონის მანქანი №202-ის ავიაციის (ვალონი ავანსი, ელგუჯა ჯიქია, მესამე მანქანის მანქანი უსმოგია) დასახელება (სტილი დახული):

22 სექტემბერი

00-30 სთ - მე-2 პოსტმა გადმოსცა, რომ გეგმა "გრაიდან" ბაბუშერას ესროლა;

4-30 სთ - მივიღეთ ინფორმაცია, რომ ქალაქში არის ტანკები - განაცხადა კომპოზიტორების სახლის კომენდანტმა. შემოწმების შედეგად ტყუილი გამოდგა;

8-15 სთ - ზღვაზე გამოჩნდა სამხედრო გემი. დაუკავშირდით რუსების სასაზღვრო ჯარების ოპერატიულ მორიგეს, მაიორ კომპონეტს, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ რუსეთის არც ერთი გემი ზღვაში არ არის. გადაწყდა გემის ჩაძირვა;

9-05 სთ - მოწინააღმდეგის გეგმა აეროპორტის მიმართულებით "გრადის" ზალპი გაუშვა;

9-20 სთ - მოწინააღმდეგის ორმა თვითმფრინავმა დაბომბა ქალაქის გარეუბანი;

9-45 სთ - მალე დაიწყება ქალაქის მასირებული დაბომბვა;

10-15 სთ - მე-5 ბატალიონიდან დაგვირეკეს ახალ კინდლში დარჩენილი ქალებისა და ბავშვების სასწრაფო ევაკუაციის აუცილებლობის შესახებ;

11-10 სთ - რადიოდაჭერა: ოჩამჩირიდან გამოვიდა ჩვენი ორი კატარა და აფხაზებს მათი ჩაძირვა სურთ;

12-20 სთ - აეროპორტის რადიოცენტრმა გადმოგვაწოდა "პერეგის-გან" მიღებული ინფორმაცია, რომ კოლორთან მოწინააღმდეგის 6 გემი დგას;

14-40 სთ - მოწინააღმდეგემ მიიღო ბრძანება, რომ დაიბომბოს კელასურისა და წითელი ხიდეები, შტურმით იქნეს აღებული ფუნიკული;

15-20 სთ - "მე-17"-მ გაგვაფრთხილა, რომ ზღვაში გამოსული მოწინააღმდეგის კატარები თვითმფრინავებზე ნადირობენ;

* გაგრძელება მე-3 გვ.



შეხვედრა ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებთან



კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გონა გონიტაშვილი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებს შეხვდა. თათბირზე განიხილეს თითოეული სოფლის პრობლემები და ის პროექტები, რომლებიც "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში მიმდინარეობს.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გონა გონიტაშვილი გამოვიდა ინიციატივით შეიქმნას "კასპის მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდი" არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახით. რომელიც იმ გაჭირვებული ფენის დასახმარებლად იქნება, რომელთა დაფინანსებასაც ბიუჯეტით განსაზღვრული პროექტები ვერ უზრუნველყოფს. "კასპის მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდი" დაარსებული იქნება საზოგადოებრივ პრინციპებზე და საქველმოქმედო შემოწირულობებით შეივსება.

ელენა გოგოლაური, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის № 466 განკარგულების თანახმად, რომელიც სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფას ითვალისწინებს, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებმა გიწვევით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობისათვის.

კომპანიებისათვის პროექტების განხორციელების უფლება იწარმოებს გამარტივებული შესყიდვების წესით. (კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლასა და ერთ პირთან მოლაპარაკების გზით.)

გამოცდილების მქონე, დარეგისტრირებულმა პირებმა მოგვმართეთ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის შესყიდვების სამსახურს. ქ. კასპი კოსტავას ქუჩა № 18.

წარმოდგენილ პროექტებზე მომზადებულია სარჯთაღრიცხვები.

განსახორციელებელი პროექტები, რომლებზეც მომზადებულია სარჯთაღრიცხვები

Table with 4 columns: №, ტერიტორიული ორგანო, სოფელი, თანხა (ლარი), პროექტების დასახელება. It lists 26 projects across various municipalities like Akhalkalaki, Rioni, and others, with details on funding amounts and project descriptions.

სომხების რაციების ქრონიკა

* გაგრძელება
17-10 სთ - აეროპორტის ტერიტორიაზე ჰაერში შემწნეულია მოწინააღმდეგის 2 თვითმფრინავი;
17-40 სთ - მე-2 ბატალიონის უჭირავს ტრაპშის ქუჩაზე სომხის სახლი, სადგურთან 7 კაცია;
18-00 სთ - მოწინააღმდეგემ კატარღებიდან რაკეტები ესროლეს სამგზავრო თვითმფრინავს, მაგრამ ვერ მოახვედრეს;
18-30 სთ - დაჯდომის დროს მოწინააღმდეგის მიერ აფეთქებულ იქნა ჩვენი თვითმფრინავი. ეკიპაჟი და რამდენიმე კაცი ცოცხალია;
22-05 სთ - ფუნიკულორთან დგას "ბრდმ" "შეტეხი", ელოდება ხალხს, რომ ზევით ავიდნენ;
22-45 სთ - ბრიგადის ოპერატიულმა გაგვაფრთხილა, რომ გემები ახლა ესვრიან ნაპირს და შემდეგ დესანტს გადმოსხამენ;

23 სექტემბერი
2-00 სთ - ბრიგადის ოპერატიული: ჯერ-ჯერობით ფრონტზე ნორმალურადაა ყველაფერი;
6-15 სთ - ძიძარას ქუჩაზე პოლიციამ მიატოვა პოზიციები. დარჩა 8 კაცი;
6-55 სთ - "ვიემში" შემოვიდა აფხაზების ჯგუფი და მოსახლეობას აწიოკებენ;
8-30 სთ - ელუარდ შევარდნაძის ბრძანება გენერალ თავაძეს, რომ 1 ტ. "სალიარკა" აეროპორტს გადაეტყუებ;
10-00 სთ - ბრიგადის ოპერატიული: "ვიემში" ქვარაია გავიდა ხალხით, გონიუს ქუჩაზე "ბმპ"-ა, 16-სართულიან სახლთან 2 ტანკია, გაზის აპარატურასთან და ძერჟინსკის ქუჩაზე "ატს"-თან ცოცხალი ძალაა, ჰაერში 2 თვითმფრინავია;
12-00 სთ - "მე-17"-ის ინფორმაციით აფხაზები აპირებენ არტილერიით დაამუშაონ ტელეანბა "რაზვილკის" მიდამოებიდან;
13-10 სთ - "მე-17"-მ გადმოგვცა: მოწინააღმდეგემ აიღო ფუნიკულორი;
13-20 სთ - შევარდნაძეს აინტერესებს, რამდენი კაცია პოზიციებზე და რამდენი რეზერვში;
15-20 სთ - მიღებულია ინფორმაცია, რომ ნავორნაას ქუჩაზე ცატურიანის სახლთან გაუშვან მანქანა დაჭრილების გამოსაყვანად;
16-30 სთ - ფილიას ქუჩაზე შინაგანი ჯარი ითხოვს ტყვია-წამალსა და ტექნიკას დაჭრილების გამოსაყვანად;
18-20 სთ - მე-2 პოსტის ინფორმაციით ჰაერშია მოწინააღმდეგის "სუ"-27. გადაეცემა საჰაერო თავდაცვას;
18-30 სთ - ბრიგადის ოპერატიული მორიგე: ჭანბაზე აგურის ქარხნის გვერდით "პიტომნიკში" აფხაზები სანგრებს თხრიან;
20-10 სთ - პეტროსიანის ინფორმაციით მოწინააღმდეგე ჩამოდის ფუნიკულორზე, საჭიროა დახმარება;
22-20 სთ - საზღვაო დივიზიონიდან დარეკეს, რომ ზედა ხილთან ხედავენ ტექნიკის გადაადგილებას;
23-30 სთ - არტილერიის ტემბა დატოვებს სათვალთვალო პუნქტი ინტერნატში, აფხაზები უკვე იმყოფებიან ბარათაშვილზე "ფანტანთან". გასამაგრებელია კუხალაშვილის, ყაზბეგის, გელოვანის ქუჩები;

24 სექტემბერი
"87"-მა გადმოგვცა: დაღუპული ცერცვაძის გვამი გადმოიტანონ აეროპორტში, თავისი ნივთებითა და შავი ყუთით. ნაირაშვილი წამოვა წასაღებად;
12-30 სთ - ბრიგადის ოპერატიული: სადგურთან ბრძოლებია, მე-3 ბატალიონი ბრძოლებშია, ჭანბაზე ბრძოლებია, ფუნიკულორზე ბრძოლებია;
"პიტომნიკთან" სიმაღლე 190 მ-ზე "მინამი-ოტია";
18-30 სთ - გელოვანის ქ. მე-5 ჩიხი სახლები 14, 15, 16, ტრაპშის ქ. 32, 33, 34-ში 3-5 კაცია;
22-50 სთ - "ომეგამ" გადმოსცა, რომ ბარჟა მოდის კოდორზე დესანტის გადმოსასხმელად; ტიტოვზე 20-კაციანი ჯგუფია შემწნეული; აეროპორტს ბომბავენ "გრადებით" კამანიდან;




მამულა, სიცოცხლო!

აფციაური შმაგი
1974-1992. III (მეტეხის რკინიგზის სადგურის დასახლება),
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის სახელობის III ხარისხის ორდენით.



ბახტაძე ბადრი
1975 წლის 11 აპრილი - 1993 წლის 26 ივნისი. ქ. კასპი (ქალაქში მის საცხოვრებელ ქუჩას ეწოდა "ბ. ბახტაძის ქუჩა").
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის სახელობის III ხარისხის ორდენით.




ბეინაშვილი გელა
1972 წლის 29 სექტემბერი (სოფ. ლამისყანა, კასპის რაიონი) - 1993 წლის 9 მარტი (აფხაზეთი, ლაბრა).



ბეინაშვილი მამუკა
1973 წლის 7 სექტემბერი (სოფ. ლამისყანა, კასპის რაიონი) - 1993 წლის პირველი სექტემბერი (აფხაზეთი, ეშერა).
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის სახელობის III ხარისხის ორდენით.

ბროლაძე მამუკა
1972 წლის 22 თებერვალი (სოფ. ახალქალაქი, კასპის რაიონი) - 1992 წლის 13 აპრილი (დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას).



გეთაშვილი მერაბი
1970 წლის 3 სექტემბერი (სოფ. ქვემო ჭალა, კასპის რაიონი).
1993 წლის პირველი მარტიდან მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში. მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.

დეისაძე ვაჟა
1964 წლის 15 ივნისი (სოფ. ქვემო გომი, კასპის რაიონი).
მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.



ედიშერაშვილი ზურაბი
1955 წლის 2 ოქტომბერი (სოფ. ახალქალაქი, კასპის რაიონი) - 1992 წლის პირველი სექტემბერი (აფხაზეთი, ეშერა).
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის სახელობის III ხარისხის ორდენით.



თათარაშვილი გელა
1974 წლის 17 ივლისი (სოფ. ოკამი, კასპის რაიონი) - 1993 წლის 27 სექტემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).



თათრიშვილი გოჩა
1962 წლის 27 სექტემბერი (ქ. კასპი) - 1993 წლის 27 სექტემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის სახელობის I ხარისხის ორდენით. მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.




ირემაშვილი გელა
1970 წლის 23 სექტემბერი (სოფ. იდლეითი, კასპის რაიონი) - 1993 წლის 6 ივლისი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის სახელობის III ხარისხის ორდენით.




ირემაშვილი გიორგი
1962 წელი (სოფ. იდლეითი, კასპის რაიონი) - 1993 წლის 6 ივლისი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის სახელობის I ხარისხის ორდენით.
ქ. თბილისში არსებობს გიორგი ირემაშვილის ქუჩა.


კალატოზიშვილი მორისი
1967 წელი (სოფ. მეტეხი, კასპის რაიონი) - 1993 წლის 28 აპრილი (დაკარგულა მშობლიურ სოფელში).



კაპანაძე გიორგი
1972 წლის 3 ნოემბერი (ქ. კასპი) - 1993 წლის 25 ნოემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).



კობაური ვასილი
1962 წელი (სოფ. ლამისყანა, კასპის რაიონი).
მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.



ლაფერაშვილი კახა
1973 წლის 8 იანვარი (სოფ. ბარნაბიანთკარი, კასპის რაიონი) - 1992 წლის 2 ოქტომბერი (აფხაზეთი, ქ. გაგრა).
მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.




ლაფერაშვილი ზაქარია
1958 წლის 30 სექტემბერი (სოფ. ბარნაბიანთკარი, კასპის რაიონი) - 1993 წლის 9 სექტემბერი (აფხაზეთი, ქ. ოჩამჩირე).




ლაცაბიძე გაგი
1964 წლის პირველი ნოემბერი (სოფ. კავთისხევი, კასპის რაიონი) - 1992 წლის 27 დეკემბერი (აფხაზეთი, მერკულა).

დაჯილდოებულია მედლით "მხედრული მამაცობისათვის".




მამულაშვილი ოთარი
1973 წლის 17 იანვარი (სოფ. სასირეთი, კასპის რაიონი) - 1991 წლის 22 დეკემბერი.





მამულა, სიცოცხლე!




მანჯიკაშვილი ზურაბი
1972 წლის 30 აპრილი
(სოფ. ქვემო ჭალა, კასპის რაიონი) - 1992 წლის 27 სექტემბერი (აფხაზეთი, ტაშიში).


დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის სახელობის III ხარისხის ორდენით.




მარიდაშვილი ზაზა
1973 წლის 23 ივლისი
(სოფ. ქვემო გომი, კასპის რაიონი) - 1992 წლის 10 დეკემბერი (აფხაზეთი, ეშერა).



მიქუტიშვილი ჯუმბერი
1947 წლის 18 აპრილი
(სოფ. ხოვლე, კასპის რაიონი) - 1993 წლის 13 თებერვალი (ლაბრა).




მუხათგვერდელი მორისი
1972 წლის 26 მარტი (სოფ. ალაიანი, კასპის რაიონი) - 1992 წლის 27 სექტემბერი (აფხაზეთი, ტაშიში).
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის სახელობის III ხარისხის ორდენით.



ნაცვლიშვილი ზურაბი
1973 წლის 25 თებერვალი
(სოფ. ქვემო ჭალა, კასპის რაიონი) - 1993 წლის 18 აგვისტო (აფხაზეთი).




ოთარაშვილი ბესიკი
1969 წლის 22 თებერვალი
(სოფ. ქვემო ჭალა, კასპის რაიონი) - 1992 წლის 18 ივლისი (სამაჩაბლო).




პაპუაშვილი ვახტანგი
1973 წლის 19 სექტემბერი
(სოფ. იგოეთი, კასპის რაიონი) - 1992 წლის 21 აგვისტო (აფხაზეთი, კელასური).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის სახელობის III ხარისხის ორდენით.



ფეიქიშვილი ალექსანდრე
1954 წლის პირველი ნოემბერი
(სოფ. ზემო ხანდაკი, კასპის რაიონი) - 1992 წლის 18 სექტემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის სახელობის III ხარისხის ორდენით.



ქართველიშვილი ალბერტი
1950 წელი (სოფ. ლამისყანა, კასპის რაიონი) - 1993 წლის 6 ივლისი (აფხაზეთი ქ. სოხუმი).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის სახელობის I ხარისხის ორდენით.


ქ. თბილისში არის ალბერტ ქართველიშვილის ქუჩა.



ქსოვერელი სერგო
1959 წლის 13 მარტი (სოფ. იდლეთი, კასპის რაიონი) - 1993 წლის 6 ივლისი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის სახელობის I ხარისხის ორდენით.

ქ. თბილისში არის სერგო ქსოვერელის ქუჩა.



შერმადინი შერმადინ
1975 წლის პირველი იანვარი
(სოფ. თეზი, კასპის რაიონი) - 1992 წლის 4 ივლისი (აფხაზეთი).



ცუცუნაშვილი კობა
1960 წლის 9 ნოემბერი
(სოფ. ლამისყანა, კასპის რაიონი).

მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.




ცქვიტიშვილი ტარიელი
(ბადრი)
1967 წლის 27 აგვისტო
(ქ. კასპი) - 1992 წლის პირველი სექტემბერი (აფხაზეთი, ეშერა).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის სახელობის III ხარისხის ორდენით.



საბალაშვილი მერაბი
1956 წლის 28 მარტი (ქ. კასპი) - 1993 წლის 9 ნოემბერი (სამეგრელო, ქ. ზუგდიდი).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის სახელობის III ხარისხის ორდენით.



შეტეშვილი ივანე
1961 წლის 11 თებერვალი
(სოფ. თეზი, კასპის რაიონი) - 1993 წლის 23 სექტემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის სახელობის I ხარისხის ორდენით.



ხენიკაშვილი კობა
1973 წლის 21 აგვისტო
(სოფ. დოესი, კასპის რაიონი) - 1993 წლის 21 სექტემბერი (აფხაზეთი).
მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.



სოკრიშვილი ნიკოლოზი
1961 წლის 14 მარტი (ქ. კასპი) - 1993 წლის 22 სექტემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის სახელობის III ხარისხის ორდენით. ქ. კასპში არის ნიკოლოზ სოკრიშვილის ქუჩა.



ჯაბაური დავითი
1969 წლის 24 ივლისი (ქ. კასპი) - 1993 წლის პირველი მარტი (აფხაზეთი, ლაბრა).

სოხუმის დაცემად ...

აფხაზეთში, საბრძოლო ოპერაციების დროს დაჭრილი კასპის ბატალიონის ბიჭების და არა მხოლოდ მათი სიმოსხლის გაღასარჩენად თავდაჯერებულად იბრძოდა კასპელი აქიმი ნიკოლოზ (კასა) სპაპეაშვილი.

აქიმი-ნეკროლოგი უდიდესი გულიანობით იხსენებს ომის წინა ხაზზე გადახანილ ომი წინა დროს ახალგაზრდას:



ნახე, თუ როგორ მიხობდა იგი ეკვლიპტის ხესთან, იქიდან იძლეოდა განკარგულებებს, მძიმედ დაჭრილი თანამებრძოლებს ამხნევებდა, ჩვენგან კი, ვერავინ ახერხებდა მასთან მისვლას, იმიტომ, რომ შეუჩერებლად, დამიზნებით ისროდნენ ჩვენი მიმართულებით. ირმისა

ავვისტო იწურებოდა, მდგომარეობა უკიდურესად მძიმე და უიმედო ხდებოდა. სოხუმის ვაგზლის მისადგომებთან ხელჩართულ ბრძოლებს უმკლავდებოდნენ ჩვენი ბიჭები. პირველად სწორედ აქ დაიჭრა ტარიელ შარიფაშვილი, ეს იყო კანქვეშა გამავალი მსუბუქი ჭრილობა, ყოველ დღე ვუკეთებდი გადახვევებს. მას წამითაც არ მიუტოვებია იქაურობა. 24-25 სექტემბერი ყველაზე მძიმე პერიოდი იყო კასპის ბატალიონისათვის და არა მარტო მათთვის. ერთ-ერთი ინტენსიური შეტევის დროს კი, მეორედ და სასიკვდილოდ დაიჭრა ტარიელი. დღის თორმეტი საათი იქნებოდა, როდესაც დაიჭრა, პირველად მხარში მოხვდა ტყვია, დაახლოებით, 15-20 მეტრის დაშორებიდან, მოფარებული ვუყურებდით ყველაფერს, დავი-



ტყეშელაშვილმა მაინც გარისკა, დააპირა მასთან მისვლა, მაგრამ ისიც მძიმედ დაიჭრა. რამდენიმე წუთის შემდეგ ტარიელის მიმართულებით ისევ მოხდა გასროლა და ამჯერად, აფეთქების ხმაც გაისმა და ნაღმის ნამსხვრევებმა მარცხენა ხელი წააცალა, მწვავე ანემიით ანუ სისხლდენით გარდაიცვალა ტარიელი.

გუმისთასთან კიდევ ბევრ მწვავე ბრძოლას იგერიებდნენ ჩვენი მებრძოლები. სოფელ აჩადარასთან იყო ტურისტული კემპინგი, სადაც გამაგრებული იყო ქართული ქვედანაყოფი. გამეტებით ესწმოდნენ ჩვენებს, გამოგვყავდა დაჭრილები და დაშავებულები,

აშვილი, ნუკრი ყაზარაშვილი, მერაბ მაღლაკელიძე, ნუგზარ გურასაშვილი, ომარ ჭიჭინაძე, თქვენი მონამორჩილი და სხვები.

1992 წლის გაზაფხულზე სამაჩაბლოში შევედით, ჯავშანტექნიკის სახით გვერიცხებოდა 2 ტანკი და ამდენივე "ბტრ" და "ბმპ". მონაცვლეობით თვითონვე ვიყავით მძღოლ-მექანიკოსებიც, მეძინებოპერატორებიც, დამტენებიც ... სხვადასხვა ვითარებაში საბრძოლო ეკიპაჟებში იყვნენ: მეველედ მამულაშვილი, ნუგზარ გურასაშვილი, ვლადიმერ რაზმაძე, ნუკრი ყაზარაშვილი, თამაზ ჭონიაშვილი, დათო ხუროშვილი, კახა ჩალაშვილი და სხვები.

გიორგი ბერიაშვილი (მაიორი, დაჯილდოებულია მედლით "მხედრული მამაცობისათვის", საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა სასულიერო სემინარიაში, მაგრამ დაიწყო ომი და მისი ცხოვრებისეული გეგმები რადიკალურად შეიცვალა, ქართული სამხედრო კომისარიატის სისტემის გამოცდილი მუშაკი): - ეროვნული გვარდიის ნაწილები, ძირითადად, საქართველოს დედაქალაქში იდგა, ასევე მის მახლობელ რაიონებში: გორში, თეთრიწყაროში, რუსთავში. კასპში ჯერ ასეული შეიქმნა და შემდეგ

სასწრაფო დახმარების მანქანებით მიგვეყავდა აგუძერის ჰოსპიტალში ან სოხუმის საავადმყოფოში.

მასსოვს, იყო შედარებით მშვიდი ე.წ. შერიგების პერიოდები, როდესაც მინელდებოდა სროლები, მაშინ ხდებოდა დანაღმული ტერიტორიების გაწმენდა. ერთ-ერთი განაღმვის დროს ჩვენს მესანგრეს, სოხუმელ ბიჭს ჩემს თვალწინ აუფეთქდა ნაღმი, ცოცხალი კი გადარჩა, მაგრამ საწყალმა ახალგაზრდამ ორივე ფეხი დაკარგა, რა თქმა უნდა, მაშინვე აღმოუჩინეთ პირველადი სამედიცინო დახმარება, მერე, სოხუმის პირველ საავადმყოფოში გადავიყვანეთ.

...ყოველ კვირას იმართებოდა თათბირები, სადაც გენერალ გომელაურს ანგარიშს ვაბარებდით, თუ რამდენი მებრძოლი ექვემდებარებოდა ევაკუაციას, რამდენი იყო მწყობრში, მოკლედ, დაწვრილებით იხილებოდა ყველა საკითხი. ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია ჰქონდა გენერალ ვია ყარყარაშვილსაც, რომელიც ხშირად



ესწრებოდა ასეთ ხანმოკლე შეხვედრებსა და თათბირებს.

ერთხელ, სოხუმში, როდესაც ჩვენი ავიაგამანადგურებელი უტევედა რუსებისა და აფხაზების ერთ-ერთ საჯარისო შენაერთს, დავინახე, თუ როგორ ესროლეს ჩვენს თვითმფრინავს, ჰაერში გაიხლიჩა, დაიფშვნა ბომბდამშენი, რომელსაც მართავდა ქართველი მფრინავი მიზამი ცერცვაძე. მეხსიერებიდან არ ამოძღის სოფელ ლინდავასთან გამართული უმწვავესი ბრძოლები, ლინდავა ის სოფელია, რომელიც დასახლებული იყო ბალტიისპირელი წარმომავლობის მცხოვრებლებით. სწორედ აქ იყვნენ დიდი რაოდენობით დაჭრილები და დაშავებულები, მათ შორის, ქართული საჯარისო შენაერთების წარმომადგენლებიც.

ბოლოს, მდინარე ცხენისწყალთან გამართულ ბრძოლებსაც შევესწარი, ძალიან უჭირდათ ჩვენს ბიჭებს, გამოგვყავდა დაჭრილი მებრძოლები, ფაქტიურად ჩვენები უკან იხევდნენ...

სექტემბრის ბოლო დღეები იყო...
... მერე კი, სოხუმი დაეკარგეთ...

იგონებენ ვეტერანები

გარდაიქმნა ბატალიონად. პირველი მეთაური, ტარიელ შარიფაშვილი, როცა სახელმწიფო სამსახურში გადავიდა, მეველედ მამულაშვილმა შეცვალა, ის კი (ჯერ კიდევ ომის პერიოდში) - ნუგზარ გურასაშვილმა, თუმცა ბატალიონის მართვის სადავეები ყველაზე კრიტიკულ და საპასუხისმგებლო მომენტებში მაინც შარიფაშვილს ეკავა ... ის პირველად ცხინვალში დაიჭრა. იქ 2 ტანკით შევედით და მისი შემოგარენის სოფლებში, ანუ მდინარე ლიანის გამოღმა მხარეში ჩავდექით - მამისაანთუბანში, ფრისში, თამარაშენსა და ნიქოზში. ამ ბოლო სოფელში რუსული სავტრტმფრენო პოლკი იყო ბაზირებული და მათ ხელმძღვანელებთან გაიმართა მოლაპარაკება, პირდაპირ გვითხრეს, - თქვენი მოსაზრება გვაქვს დავალბული. ჩვენი ერთი ტანკი ცხინვალთან ააფეთქეს და იქაურებმა გაიტაცეს ჯარისის სახით, მეორე კი გამოვიტანეთ და გავარემონტეთ... იქიდან მალე გამოვედით...

დასასრული მე-7 გვ.

სოხუმის რაცემის ქრონიკა

ეროვნული გვარდიის ყაზახის ზაფხულის განყოფილების გაცეცხვითი 1993 წელი. 18 მარტი

იგონებენ ვეტერანები

დასასრული

25 სექტემბერი

8-45 სთ - ყაზახების ქუჩიდან დარეკეს, ჯოჯუას სახლში არიან აფხაზები, ტრაპეციის ქუჩაზე;

12-00 სთ - სადგურთან შემოტევა, ითხოვენ ტექნიკას;

12-30 სთ - ერთი ჯგუფი სკოლასთანაა, მეორე კი - სადგურის წინ მაღალი სახლების უკანაა;

“მე-17”-მ გადმოგვცა: ერთი ჯგუფი პროფილაქტიკასთანაა, მეორე კი სროლით მიდის ახალი რაიონის გადასასვლელთან;

14-00 სთ - სადგურისკენ მოდის ტანკი და “პტურისი” დანადგარი;

“მაიაკის” რაიონიდან ჩვენი შეიარაღებული ჯგუფები გამობიან ქალაქის მიმართულებით;

სადგურის წინ მარჯვნივ 9-სართულიანი სახლი აფხაზებმა დაიკავეს. უნდა მოხდეს ამ სახლის არტილერიით დაბომბვა;

სადგურისკენ მიმავალ ცენტრალურ გზას აფხაზური “პტურები” აკონტროლებენ;

სადგურის მხრიდან ჩვენი 200 მებრძოლი გამობრბის; აფხაზები ფუნქიკულირიდან “ტუნელში” შევიდნენ; რუსთავის ბატალიონს ტექნიკა სჭირდება დაჭრილთა გამოსაყვანად, გვიტევენ მაგრად; მშვიდობის პროსპექტზე 250 ჯარისკაცი “მაიაკის” მხრიდან გამობრბის;

სადგურთან მიძიმე ბრძოლები მიდის და გვინდა გავიგოთ, დგას თუ არა კასპის ბატალიონი თავის ადგილზე;

“მე-17”: აფხაზები ცდილობენ, რომ მთელი ძალები გადმოისროლონ სადგურის ასაღებად;

19-25 სთ - აფხაზებისგან მიღებულია ინფორმაცია, რომ დააყენეს “მინამიტები” კელასურისა და აეროპორტის მიმართულებებზე. არ ისვრიან მანამდე, სანამ ჭურვებს არ მიიღებენ;

22-00 სთ - გელოვანის ქუჩაზე ტექნიკის კონცენტრაცია შეინიშნება. მოწინააღმდეგეს უზის “კორექტიროუშიკი” გულრიფშის მიდამოებში, ხედავს მანქანებს (კოლონას არ უშვებენ), გასაფრთხილებელია მომავალი მანქანები;

კასპის ბატალიონის მეთაური ტარიელ შარიფაშვილი დაიღუპა დღეს. არ იციან მისი ადგილსამყოფელი და უნდა დაადგინონ სად იქნება მისი ცხედარი;

26 სექტემბერი

8-55 სთ - “მაიაკის” მხრიდან შეტევისას წინ ქვეითები წამოვიდნენ;

11-55 სთ - ინტერნატთან საარტილერიო ცეცხლს ითხოვენ;

13-15 სთ - “პიტომნიკთან” უჭირს ახალციხის ბატალიონს. ითხოვს სასწრაფო დახმარებას;

15-20 სთ - ინტერნატიდან გელოვანის ქუჩაზე 50-ზე მეტი კაზაკი ჩამოვიდა;

15-40 სთ - სადგურთან ჩვენები უკან იხევენ;

18-00 სთ - “მე-17”-მ გადმოსცა, რომ მოწინააღმდეგის 20-კაციანმა ჯგუფმა გადმოჭრა ჯოჯუას ქუჩა და ქალაქის ცენტრისკენ მოემართება;

18-20 სთ - 20-კაციანი ჯგუფი შესულია ეკლესიის პირდაპირ მე-3 სკოლასთან, მიიღეს დასვენების ბრძანება და ხვალისთვის მთავრობის სახლზე შტურმისთვის დამზარე ძალას ელოდებიან;

რადიოტექნიკური პოსტი №1-დან დარეკეს, რომ “მაიაკიდან” მოწინააღმდეგე შეტევაზე მოდის 40-მდე კაცითა და ტანკით;

ორჯონიკიძის გასტრონომთან (სტალიონთან ძველ) შემოსულები არიან და ჩვენს მებრძოლებს ჰყავთ დაჭრილები, ითხოვენ დახმარებას;

19-35 სთ - ტყვარჩელის მიმართულებით გადაფრინდა შევეულმფრენი. გაფრთხილებული არიან მესაზღვრეები;

ორჯონიკიძის გასტრონომთან (ძველი სტალინი) შესულები არიან. ჩვენს მებრძოლებს დაჭრილები ჰყავთ. დახმარებას ითხოვენ;

19-40 სთ - “სვალკასთან” მოლთან მოწინააღმდეგის ქვეითები. ჩვენი ბიჭები ცოტაა. ითხოვენ დახმარებას. გაგზავნილია ჩოლოყაშვილის ბატალიონის ჯგუფი;

იწვის “ზაკო” (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სანატორიუმი);

ბრიგადის ოპერატიულიდან (ლაკობას ქუჩა - რესპუბლიკური ბიბლიოთეკა) - მოუახლოვდა მოწინააღმდეგე. ისმის ტანკებისა და “ბმპ”-ს ხმები;

20-00 სთ - რადიოტექნიკური პოსტის უფროსის დანელიას ინფორმაცია: ხალხი პოზიციებს ტოვებს გუმისთასთან;

27 სექტემბერი

12-00 სთ - ბარათაშვილზე შემჩნეულია მოწინააღმდეგის ტანკები, 2-ჯერ დარეკა მოქალაქე მარინა გვაზავამ;

12-42 სთ - ჭავჭავაძეზე, ლაკობაზე და ბაზრის ტერიტორიაზე გამოჩნდა მოწინააღმდეგე;

12-45 სთ - მთავრობის სახლი დახმარებას ითხოვს;

ამის შემდეგ ჩანაწერები შეწყდა.

მასალა იზაქიანა სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალ “არსენალის” ნაბარათით.



გაზატი
“ახალი განთიადი”
უკრმის მაღლობას უხდის ვანო
ჯანუას მონოდაზული
ფოტოაზიისათვის.



ტარიელ განიჭაშვილი

ორმოცდათექვსმეტი წლის ასაკში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ღირსეული მოქალაქე, გულისხმიერი მეგობარი, ოჯახის, შვილების მოსიყვარულე და მზრუნველი მამა, გამორჩეული გონებისა და იშვიათი მესსიერების მქონე ადამიანი ტარიელ განიჭაშვილი.

1974 წელს მან წარჩინებით დაამთავრა კასპის მეორე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიურ ფაკულტეტზე.

სტუდენტობის პირველსავე წელს მოუწია საკვლევო სამხედრო სამსახურის მოხდა, რომლის დასრულების შემდეგ ტარიელ განიჭაშვილმა ისევ უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა. პარალელურად მან მუშაობის დაწყებაც სცადა და ორივეს ერთად ადვილად გაართვა თავი. მომზადებულ, დაინტერესებულ ახალგაზრდას ხელს უწყობდნენ, ენდობოდნენ კასპის ხილის დამზადების კანტორის მესვეურები, მათთან მან საკმაოდ დიდი ხანი გაატარა...

ტარიელ განიჭაშვილის ბიოგრაფიაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია 80-90 იანი წლებს, ეს ის დროა, როდესაც იგი უყოყმანოდ დაუდგა გვერდით ეროვნული მოძრაობის ლიდერებს... შემდგომ წლებში ტარიელ განიჭაშვილი მუშაობდა კასპის გამგეობაში, ნაყოფიერად უძღვებოდა გამგეობის ეკონომიკურ სამსახურს და თავის გამოცდილებას, ცოდნას უზიარებდა, ყოველნაირად ხელს უწყობდა დამწეებ



სპეციალისტებს. 2008-2012 წლებში ტარიელ განიჭაშვილი იყო შ.პ.ს. „კასპის კეთილმოწყობის“ მთავარი ბუღალტერი.

ტარიელ განიჭაშვილმა დატოვა სამაგალითო ოჯახი, შვილები და შვილიშვილები, საახლობლო და სამეგობრო, რომლებიც უდიდესი მწუხარებითა და გულისტკივილით გამოეთხოვნენ ნადრევიდ დაკარგულ ადამიანს, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!


კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

ჯემალ მახარაშვილი

ორმოც დღეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც შენ წახვედი ჩვენგან, დაგვტოვე მხრებ-ჩამოყრილი და სევდიანი, საყვარელო ჯემალ!

როგორ გინდოდა გეცოცხლა და გაგებ-არა შენს შვილებში და შვილიშვილებში.

სიცოცხლე გინ-აროდა, გინდოდა ბევრი რამ გაგეკეთებინა შენი ოჯახ-ისათვის, ფიქრობდი, სანამ ჩემი ვაჟები ჩამოვლენ საზღვარგარეთიდან, მე ყვე-ლაფერს მოვასწრებო. ნა-კვეთებსაც უვლიდი, სახ-ლში პატარა მეურნეობაც გვქონდა, მაგრამ ჯანმრთე-ლობამ გამტყუნა. უკურნე-



ბელი სენი ფარულად შეგეპარა ორგანიზმში და დიაგნოზის დასმოდან თვე-ნახევარში სიცოცხლეს გა-მოგასალმა.

ნატრობდი ჩვენი შვილების ნახვას და ყოველთვის გაგიხსენებთ

სსოვნა

კიდევ კარგი რომ სიკვდი-ლამდე ორი დღით ადრე გურამი ჩამოვიდა ესპან-ეთიდან, ჩამოვიწვრო ცოცხალს. ზურა ოჯახით საფრანგეთში მწარედ გან-იცდიდა შენს ავადმყო-ფობასა და გარდაცვალე-ბას.

არაფერი არ დავიმურეთ შენთვის, ყვე-ლანაირი წამალი მოგახმ-არეთ, მაგრამ ამოდ და უშედეგოდ.

ჩემო ჯემალ, ჩვენს ოჯახში შენს სახ-ელს დავიწყება არ უწე-რია. შენი მოსახელე შვილიშვილიც ხომ გვყავს, გამრჯე და კეთილი ბიჭი. ყოველთვის გაგიხსენებთ

შენგან დამწუხრებული ცოლ-შვილი, ერთადერთი და, რძლები, შენი ახ-ლობლები, მეგობრები და მეზობლები. ცხოვრების დიდ გზაზე უკან მოხედ-ვისა არ შეგრცხვება, სა-დაც კი გიმუშავია, ყველ-გან კეთილი კვალი დაგი-ტოვებია.

ყველას ძალიან გვიყვარხარ და გვენტრე-ბი. მსუბუქი იყოს შენთვის კასპის მიწა საყ-ვარელო და ყველასთვის მონატრებულ ჯემალ! შენი ლამაზი და კეთილი სული მარადიულ სასუფე-ველში ამყოფოს მაღალმა ღმერთმა.

ოჯახი.

ბ ი ნ დ ა თ, გაეცნოთ საინტეხსო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებიდან?

ბ ი ნ დ ა თ, გაიგოთ ეხისხაცთა მოსახელები საქართველოს ცხოვრების ჰეხსეუქტივაზე?

ბ ი ნ დ ა თ თვადი ადევნოთ საქართველოში მიმდინახე მოვლენებს?

გამოიზიწრეთ „ახალი გზნითარი“ რა გზნით ზეგნი შეითხველი!



„ახალი გზნითარი.. ეძებს ზნინ-ტეფრებს ზურათებს წირონის ზგზნითო თოცო-მეციანის შეგაქმნელოცო. თხ-ოზნით მივმართავთ თანწირონელოებს - რაყოფთ თქვენი ყვლო ზეგნს მეცი-ანეში! გამოგვიგზვნეთ ზნინტეფრებს რა ზნ-ალონო თოცოები!

გაზთი „ახალი გზნითა-ლი.. სამქიპარს უხსაღაზს აში-რან ზალახაქანს ლისუნილს გია ნაზახაველის გარდასვალების გამო.

შ.პ.ს. „ქასპის კეთილ-მომყოფის.. თანამომოქლაი ღრამ მწუხარებით იუწყებთან. რუმ გარდასვალია ყოფილი მთავარი ბუღალტერი

ტარიელ განიჭაშვილი და სამქიპარს უხსაღაზან გან-სვენებულის ოჯახს.

ლია მენახაღიშვილი ოჯახით თანამომოქლაი განიჭაშვილან-ის ოჯახს

ტარიელ განიჭაშვილის გარდასვალების გამო.

რედაქციაში შემოსული წერი-ლები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზთი იგაქდაბა გავომთხველობა „ქოლორში..“

რედაქცია ხელმეღაწელოზ თაუისუფალი პრანის პრინციპებით. სტატიის ავტორის პური, შესაქლოა არ ემთხვეოდან რედაქციის პურს. მოგანილი ვაქებოის სიუხსაგაზა პასუხისმგებალი ავტორი. სარაქლომ ვასაღებოისა და განსხაღებოის შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აწავს. რედაქციის ნაგართოის გარეშე ვასაღებოის გავომთხვეუნება იარაქაღაბა.

რედაქცია ნანა მარეგაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი სააქაქის ქ. № 68 ტელოფონი 22-25-76